ანოტაცია
ანტიკოლი (Anticol)
Colistin Sulphate

ფხვნილი პერორალურად მისაღები, გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა
1 გ ფხვნილი შეიცავს: კოლისტინის სულფატს 0.058 გ;
ფარმაკოლოგიური თვისებები
კოლისტინის სულფატი ციკლოპეპტიდური ანტიბიოტიკი, წარმოებულია პოლიმიქსინ E-გან და ეკუთვნის პოლიმიქსინის თერაპიულ ჯგუფს. კოლისტინის სულფატი ბაქტერიციდულად მოქმედებს გრამუარყოფითი მიკროორგანიზმებზე, მგრძნობიარეა Escherichia coli და ენტერობაქტერიის ცალკეული სახეობები: Klebsiella spp., Salmonella spp., Shigella spp., Pseudomonas aeruginosa და Haemophilus influenzae. მდგრადობა კოლისტინის სულფატის მიმართ არ დაფიქსირებულა. პრეპარატის მოქმედების მექანიზმს საფუძვლად უდევს ბაქტერიული უჯრედის გარეგანი მემბრანის და ციტოპლაზმატური სტრუქტურის ფუნქციის მოშლა.
გამოყენების ჩვენებები
პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრების, თხების, ღორების და შინაური ფრინველის მიმართ მგრძნობიარე ბაქტერიებით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. გასტროინტესტინალური ტრაქტის ინფექციების, კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზის და ბაქტერიული დიარეის დროს.
გვერდითი მოვლენები
პრეპარატის რეკომენდებული დოზებით გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. კოლისტინის სულფატის მიმართ მაღალი მგრძნობელობის გამო შეიძლება გამოვლინდეს თირკმლის ფუნქციის დარღვევა, ნეიროტოქსიკურობა და ნეირომუსკულარული ბლოკადა.
უკუჩვენებები
არ გამოიყენება სხვა ანტიბაქტერიულ პრეპარატებთან კომბინაციაში.
სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ღორი, ფრინველი
გამოყენების წესი და დოზები
პრეპარტი ეძლევა პერორალურად, ერთჯერადად, საკვებთან ან სასმელ წყალთან ერთად.
ხბოს, თხას, ცხვარს – 5გ/100 კგ ც.წ-ზე, 5-7 დღის განმავლობაში.
ღორს – 1კგ/1000ლ სასმელ წყალზე ან 500კგ საკვებში შერევით, 5-7 დღის განმავლობაში.
ფრინველს - 0,7კგ/1000ლ ან 1კგ/1500ლ სასმელ წყალზე ან 750კგ საკვებში შერევით,
მკურნალობის კურსი 3-5 დღე
დაყოვნების პერიოდი
ცხოველთა და ფრინველთა დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 3 დღის შემდეგ. კვერცხი საკვებად გამოიყენება შეუზღუდავად.
სპეციალური გაფრთხილებები
განმეორებითი ან გახანგრძლივებული გამოყენება თავიდან უნდა იქნას აცილებული მოვლისა და დეზინფექციის გაუმჯობესებული პრაქტიკით.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას: ვეტერინარული პრეპარატის (კოლისტინის) გამოყენება მეფრინველეობაში უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ რეგულაციებსა და წესებს.
კოლისტინის მიმართ სამიზნე მიკროორგანიზმების მგრძნობელობის შესაძლო ცვლილებების გამო (ადგილისა და დროში) რეკომენდებულია განხორციელდეს ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა და მგრძნობელობის ტესტი.
პრეპარატის ნებისმიერმა გამოყენებამ, რომელიც არ შეესაბამება ინსტრუქციას, შეიძლება გაზარდოს კოლისტინის მიმართ რეზისტენტული ბაქტერიების გავრცელება და შეიძლება შეამციროს სხვა პოლიმიქსინის ანტიბიოტიკებით მკურნალობის ეფექტურობა და განვითარდეს ჯვარედინი რეზისტენტობა.
არ დატოვოთ პრეპარატით განზავებული წყალი სხვა ცხოველებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას.
განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები უნდა იქნას მიღებული იმ პირის მიერ, რომელიც იყენებს პრეპარატს ცხოველების მკურნალობისას:
პრეპარატთან მუშაობისას განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის გათვალისწინებული. თუმცა, სასურველია თავიდან აიცილოთ პირდაპირი კონტაქტი კანთან და პრეპარატის ჩასუნთქვა. პრეპარატთან მუშაობისას რეკომენდებულია დამცავი ხელთათმანების გამოყენება. შემთხვევითი კონტაქტის შემთხვევაში, კარგად ჩამოიბანეთ წყლით და საპნით. თუ გაღიზიანება გრძელდება, მიმართეთ ექიმს.
იმ პირებმა, რომლებსაც აქვთ ცნობილი ჰიპერმგრძნობელობა კოლისტინის მიმართ, უნდა მოერიდონ კონტაქტს ვეტერინარულ პრეპარატთან.
მაკეობის, ლაქტაციისა ან კვერცხდების პერიოდში გამოყენება:
არ არის რეგისტრირებული განსაკუთრებული სიმძიმის შემთხვევები. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოიყენეთ ვეტერინარის მიერ რისკის/სარგებლის შეფასების მიხედვით.
ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან და სხვა ფორმებთან: ჯვარედინი რეზისტენტობა პოლიმიქსინ B-სთან.
შეუთავსებლობა: მიუხედავად იმისა, რომ კვლევები არ ჩატარებულა, არ შეურიოთ სხვა პრეპარატებს.
ჭარბი დოზირება: დოზის გადაჭარბების სიმპტომები უცნობია.
შენახვის პირობები
შეინახეთ მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.
ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
ვარგისობის ვადა: 3 წელი.
გამოშვების ფორმა: 250 გ პერორალური ფხვნილი მოთავსებული სამშრიან (პოლიეთილენტერაფტალატი, ალუმინი, პოლიეთილენი) ლამინირებულ პაკეტში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი, Atc vet.code: QJ01XB01

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტეკსი, საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ#8